საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბროკერი

ბროკერი (ინგლ. Broker), შუამავალი, რომელიც სხვისი სახელითა და ანგარიშით მონაწილეობს სხვადასხვა სახის სამეურნეო საქმიანობაში. საკრედიტო, კომერციული, სავალუტო და სადაზღვევო ოპერაციების დროს ხელშეკრულების (კონტრაქტის) დადებისას. ბ. ბირჟაზე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. ბ-ები სთავაზობენ კლიენტებს ბაზრის ანალიტიკურ მომსახურებას, უწევენ კონსულტაციებს, უზრუნველყოფენ ინფორმაციული სერვისებით სადაზღვევო კომპანიებისა და მათი მომსახურების შესახებ, უწევენ დახმარებას დოკუმენტების მომზადებასა და ხელშეკრულების შედგენაში.

ბ-ის ძირითადი სფეროებია ვაჭრობა ბირჟაზე, დაზღვევა, სესხები, უძრავი ქონების განკარგვა, საბაჟო საქმიანობა. საფონდო ბირჟაზე უძრავი ქონებით მოვაჭრე ბ-ს მაკლერს უწოდებენ. ბ-ები მუშაობენ დამოუკიდებლად; ქმნიან საბროკერო კანტორებს, ფირმებს; საკუთარი ინტერესების დასაცავად ერთიანდებიან ბ-თა ეროვნ. ასოციაციებად. აშშ-ში მოქმედებს ბ-თა ეროვნ. ასოციაცია, რ-იც ძირითადად სამეურნ. ფუნქციებს ასრულებს.

საქართველოში ყალიბდება ბ-თა ეროვნ. „გილდია“, შექმნილია აგრეთვე მრავალი საბროკერო ფირმა. ამჟამად (2021) საქართველოში არსებობს საქართველოს ეროვნ. ბანკის მიერ ლიცენზირებული რვა საბროკერო კომპანია.

დ. იაკობიძე